ქულები თანაბრად გაიყვეს

დონეცკი. "შახტიორის" სტადიონი. 20 ივნისი.

"შახტიორი" (დონეცკი) - "დინამო" (თბილისი) - 0:0.

"შახტიორი": გოვოროვი, პოლაკი, ზიმა, პოპოვი, სტრელცოვი, გრიგორიევი, ორლოვი, შალიჩევი, პილიაჩუკი, ევსეენკო, იარემჩენკო (ჟუკოვი).

"დინამო": ურუშაძე, ძოძუაშვილი (ილიადი), კანთელაძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი: პ. სტრენცისი (რიგა).

დუბლიორები - 0:0.

დონეცკის გუნდმა კარგი თამაშის მეოხებით სატურნირო ცხრილში შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას უფლებას აძლევს თითქმის შესრულებულად ჩათვალოს მთავარი ამოცანა - უძლიერეს შვიდეულში მოხვედრა. რახან ასეა, "შახტიორისთვის" ამ მატჩის შედეგი ოქროს ქულების სახით შედიოდა გათამაშების მეორე ეტაპისთვის. მასპინძლებმა მაქსიმალური მონდომებით, მთელი შესაძლებლობით ითამაშეს გუნდის წინააღმდეგ, რომელსაც წლეულს ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად მიიჩნევენ და წარმატებით გაართვეს კიდეც თავი რთულ ამოცანას, თუმცა მათი კარი არაერთხელ იყო რეალური საშიშროების წინაშე.

"დინამოში" განსაკუთრებით აქტიურობდა ნახევარდაცვის ხაზი, პირველ ყოვლისა, კუტივაძე. მე-18 წუთზე მან შორიდან ზუსტად და ძლიერად დაარტყა კარში და გოვოროვმა ძლივს შეძლო ამ ძნელი ბურთის მოგერიება.

სახიფათო მომენტი შემდგომშიც ბევრი იყო. მაგრამ დინამოელებმა ვერ შეძლეს მათი გამოყენება და დასჯერდნენ ფრეს.

ვ. სტრელკო (ტელეფონით, ჩვენი კორ.).

"ლელო", 22 ივნისი, 1969 წ.